ჩანგი

№ 16

ოთხშაბათი,

22 ივლისი

1909 წ.

გახეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს** და **მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალური წერილებზე ყურადღება შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань“, **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

რედაქციის ადრესი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

პოლიტიკური ეკონომია

ა ბოგდანოვი -ზე

(**მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა**).

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდათ არ

გამოვა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ, ვისაც ხელნაწერი წიგნის შეძენა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი. **ვ. გადილია.** 5—2

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიახამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომბარელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუხსელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური **გამოკვლევანი**, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და **კონსულტაცია** მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—17

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

იხსნება

ქალების **კერძო პროფესიონალური სკოლა**, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—7)

აგასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (ციროჩნი ქუჩის ახლოს)

დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. **ჯაში.** ავათმყოფების მიღება ყოველ **დღე.**

ქ. ქუთაისში

გაზეთი „ვარსკვლავი“ დროებით იხურება. ამ მოკლე ხანში გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა. წლიური და თვიური ფასი იგივე იქნება, მხოლოდ ცალკე ნომერი ეღირება **5** კაპ. საჭიროა გამოცდილი ასოთ-ამწყობები.

ადრესი: Кутаисъ, редакція „Варсквлави“. (3—2)

თფილისი, 22 ივლისი

როგორც ჟურნალ-გაზეთები გადმოგვცემენ, ისპანიის მთავრობასა და მაროკოს მცხოვრებთა შორის ამ ჟამათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს. პირველი, ძლიერი მილიტარიზმის საშუალებით ლამობს თავის ძველ ბატონ პატრონობის შერჩენა-განტკიცებას, ხოლო მეორენი კი, იარაღით ხელში ცდილობენ ისპანიის ბატონობის მძიმე უღლის კისრიდან მოშორებას, მათ კაპიტალისტურ ექსპლოატაციის მოსპობას და საერთოდ მათ არა-მკითხე აპეკუნობიდან განთავისუფლებას. მაროკოელებს ველარ აუტანიათ ისპანიელ ბურჟუაზიულ კლასთა ბარბაროსული კოლონიალური პოლიტიკა, კოლონიალური ექსპლუატაცია და მედგრათ შეინძრენ მას დასამსხვრევათ. ერთი სიტყვით, მათ შორის ბრძოლა წმინდა კოლონიალურია და ამ ნიადაგზე აღმოცენდა მათი დაუნდობელი შეტაკება.

მაგრამ მათ შორის ამგვარი ბრძოლა არ ახალია, ძველია. ჯერ ისევ წარსულ საუკუნის ორმოცდაცხრამეტ წლებში მაროკოელებმა ისპანელებს იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლის დროსაც ძლიერ დამარცხდენ და ისპანიის მთავრობის სასარგებლოთ, საკონტრიბუციო ოცი მილიონი პიასტრი (ერთი პიასტრი რუსულ ორ შაურს უდრის) გადაიხადეს და ტერიტორიის საგრძნობელი ნაწილიც დაუთმეს. ისპანიის გამგელებულ კოლონიალურ პოლიტიკოსებისათვის, რასაკვირველია, ეს კარგი გემრიელი ლუკმა იყო და კარგათაც გაიტკბარუნეს პირი. შემდეგში, 1893 წელს, ისპანიის მთავრობა უფრო ძრიელათ შეეტაკა მაროკოელებს, თავისი კოლონიალურ ინტერესების გასაფართოებლათ და მიზანს უკვე მიაღწიეს. ამ უკანასკნელ შეტაკების დროს მაროკოელები კიდეც დაამარცხეს და საკონტრიბუციო ოცი მილიონი პიასტრი და კარგა მოზრდილი ტერიტორია ჩამოაცალეს, რომელმაც ახლა კი სამუდამოთ განამტკიცა ისპანელების მაროკოელებზე კოლონიალური ბატონობა, გააძლიერა კოლონიალური ექსპლოატაცია, რომელსაც იგი დღემდე დაუნდობლათ აწარმოებს.

ევროპიელი ბურჟუაზიული კოლონიალ-პოლიტიკოსები დიდ-ხნობამდის მაროკოს „ბარბაროსულ ჩინეთს“ უწოდებდენ. ჩვეულებრივ, სახელწოდება „ბარბაროსული“ ევროპიელებისაგან მეტათ ადვილი და საყვარელი ტერმინია. ესენი ამ სიტყვას იმავე მნიშვნელობით ხმარობენ, რა მნიშვნელობითაც ხმარობდენ ძველი ბერძნები, რომლებიც ყველა იმათ, ვისაც კი მათებური კულტურა არ ქონდათ, ბარბაროსებს უწოდებდენ. მაროკო დღემდის წვრილ-წვრილ, ერთი მეორეს გამუდმებით მებრძოლ სათემოებიდან შესდგება, რომლებიც ეგრეთ წოდებულ ცენტრალურ შერიფის მთავრობას, სრულიადაც მოწესრიგებულათ არ ექვემდებარებიან, არ ემორჩილებიან. ცნობილი გეოგრაფი და ანარქისტი, ელ. რეკლიუ, თავის გეოგრაფიაში აგვიწერს რა ამ პრიმიტიულ პირობებში მცხოვრებ ხალხებს, ამბობს, რომ ესენი ნამდვილი ანარქისტები არიანო, რომლებიც სურვილისამებრ შეერთდებიან და სურვილისამებრ გაშორდებიან; მათ არ იციან ხანგრძლივი უმაღლესი ბატონები, უფროსი მთავრობა, რომლის დადგენილება-განკარგულებას აუცილებლათ უნდა დაემორჩილონ. მათი დამოკიდებულება სულთანისადმი, რომელიც ამავე დროს უმაღლეს ქურუმათ ითვლება, იმაში გამოიხატება, რომ ისინი იარაღის საშუალებით იძულებულნი არიან სულთანის სასარგებლოთ გადასახადი გაიღონ. მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოებით 6—7 მილიონს უდრის, ამასთან, მეტათ მეომარნი და მამაცნი. ამისათვის მათი ბრძოლის და სისხლისღვრის ისტორია ერთობ მდიდარია. მხოლოდ ერთი მესამედი ხალხისა შესდგება არაბებიდან, ორი მესამედი კი ბერბერებიდან, რომლებიც თავის განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებიან. ერთი 100,000 ათასი ებრაელი, რომლებიც მთელს მაროკოს ტერიტორიაზე მოფენილები არიან და გასაწყლებულ და გაძვალტყავებულ ბერბერებს უმოწყალოთ ყვლეფენ. უცხოელი, ვინც კი აქ მოიკალათებს, მას ხშირი და სისხლიანი შეტაკება მოუხდება ბერბერების წვრილ თემებთან, მას მილიტარული ძალის საშუალებით დასჭირდება თავისი ბატონობის განმტკიცება, მით უმეტეს, რომ მაროკოს მცხოვრებნი, როგორც ვსთქვით, მეტათ ომის მიდრეკილების ხალხნი არიან. კაცს ან სრულიად არ უნდა იყოს ჩახედული მაროკოს შინაურ ცხოვრებაში, ან და ზედმეტი ოპორტიუნისტი იყოს, რომ იფიქროს, ვითომ ბერბერთა შორის „მშვიდობიანათ შესვლა-მოკალათება“ მოსახერხებელი იყოს, მაშინ, როცა მაროკოს მცხოვრებნი სწორი და სამართლიანი ბუნებრივ ინსტიქტის მეოხებით სძულთ უცხოელების ბატონობის უღელი. სძულთ და ეჯავრებათ უცხოელების კოლონიალური ბატონობა და მუდამ ცდილობენ მის თავიდან აცილებას.

მაგრამ ევროპიული კაპიტალისტური სახელმწიფოები ამას არ დაგიდევენ, ის იმისათვის არის კაპიტალისტური და მილიტარული ორგანოები, რომ თოფის და იარაღის საშუალებით უცხო, უკან ჩამორჩენილი ქვეყნები დაიპყრონ და მით საშუალება მისცენ თავიანთ ზედმეტ დამუშავებულ საქონელს მყიდრო ბაზარი მოუპოვონ და ზედმეტ გამრავლებულ ხალხის დასასახლებელი ალაგი გამოუნახონ. ეს არის თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოების კოლონიალურ პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი. კაპიტალისტური მთავრობას შეგნებულ-შეთვისებული აქვს ეს მამოძრავებელი ძალა და დროს და გარემოების მიხედვით იკმაყოფილებს მას. ამა თუ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ეკონომიური მდგომარეობა, საზოგადოებრივი ურთიერთობა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გარემოებაში, განსაკუთრებით საკოლონიო პოლიტიკას აწარმოებს. ამავე დროს, კოლონიალური საკითხი, კაპიტალისტურ სახელმწიფოებისათვის, მუდამ და ყოველთვის დაპყრობის საკითხი იყო. იგი მუდამ იმის ცდაშია, წარმოების წესით ჩამორჩენილ ხალხების ტერიტორია დაიპყროს. აი, ასეთისავე მიზნით იყო გამსჭვალული ისპანიის ბურჟუაზიული მთავრობა დღიდან თავის გაძლიერებისა. იგი ყველა ევროპიულ სახელმწიფოებზე ადრე შეუდგა სამუშავო და სავაჭრო კოლონიების შეძენას; ესენი იმ თავიდანვე ენერგიულათ შეუდგენ სამუშაო და სამოსახლო კოლონიების გაჩენას. დღესაც, ისპანია, როგორც უფრო კაპიტალისტურათ ნაკლებათ განვითარებული სახელმწიფო უმთავრესათ, სწორეთ ასეთ სამოსახლო კოლონიების შეძენა-შენარჩუნებას ლამობს. კაპიტალისტურმა წარმოების განვითარებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც (ისპანიაში), თავისი განვითარების ერთ საფეხურზე, გლეხთა გაპროლეტარიატება გამოიწვია, რომელსაც აუცილებლათ ესაჭიროებოდა სხვა ქვეყნებში გადასახლება, საცხოვრებელი ბინის მოსაპოებლად.. ისპანიის სახელმწიფოს, რასაკვირველია, არ ქონდა იმოდენათ განვითარებული და გაძლიერებული ინდუსტრიული ცენტრები, რომ გაპროლეტარებულ ისპანელ გლეხებს საჭირო სამუშაო გამოუჩინოს, დააკმაყოფილოს მათი შრომაზე მოთხოვნილება. ამის გამო, ისპანიის ბურჟუაზიული მთავრობა, დღემდის იმის ცდაში, რომ თავისი ზედმეტათ გამრავლებულ-გაპრრლეტარებულ გლეხებს სამოსახლო კოლონიები გაუმრავლოს. მაროკო კი, თავისი მრავალი დაუმუშავებელ და დაუჭრელ ალაგებით იმთავიდანვე ისპანიის მთავრობის თვალს იტაცებდა და ცდილობდა გემრიელი ლუკმაც გაეკრა. მან ბრძოლის და ომის საშუალებით მაროკოს მცხოვრებთა ერთ-ერთი ნაწილი დაიპყრო და შეუდგა მოჭარბებულ გლეხები—პროლეტარობის კოლონიზაციას. და ასეთია, სამოსახლო, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, სამუშაო კოლონიები მუდამ და ყოველთვის გლეხებიდან და ინდუსტრიულ პროლეტარიატიდან დასახლდებიან ხოლმე, მაინც, იგი, როგორც სახელმწიფოს მიერ დასახლებული კოლონია ჩვეულებრივ საექსპლოატაციო კოლონიდა რჩება; თავიანთ მთავრობის მეოხებით ესენი აქ იწყებენ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და უმოწყალოთ ყვლეფენ ადგილობრივ მცხოვრებთ.

მალე, სამოსახლო და სამუშაო კოლონია, ისპანიის მთავრობამ, სავაჭრო და საბაზრო კოლონიათ გახადა, უკვე აღორძინებულმა და უმაღლესათ განვითარებულმა კაპიტალიზმმა აიძულა იგი, სამუშაო და სამოსახლო კოლონია მაროკო, სავაჭრო კოლონიათ გადაექცია. ამ გარემოებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოშობა ის აუტანელი კოლონიალური მდგომარეობა, რომელმაც დაბადა დღევანდელი სისხლის ომი. როგორი და რა სახის სავაჭრო კოლონიალურ პოლიტიკას აწარმოებდა ისპანიის მთავრობა ბერბერების მაროკოში, რომელმაც სისხლის ღვრა გამოიწვია, ამაზე მშემდეგ წერილში.

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.

II

(გაგრძელება).

სანამ დიდი და პატარა დესპოტები ლხინს შეეჩვევიან, ხალხი დავიმორჩილეთ და ძალა ჩვენს ხელშიაო, მათ წინააღმდეგ მათ მიერ წყეული ხალხი ამხედრდა. კონტრ-რევოლიუციას ამზადებს. შაჰმა ბნელი შინაური და გარეშე რაზმი მიიშველია და მეჯლისს მოულოდნელათ თავს დაესხა. ის იმარჯვებს ერთი დაკვრით. როცა რეაქციონერთა რეპრესიებით დამფრთხალი ხალხი გონს მოვა, შაჰს ის კვლავ ომს გამოუცხადებს: ენჯუმენებმა ხალხის ფართო მასსა მიიმხრეს.

ხალხის მეთაურობა თავრიზმა იკისრა. როცა შახის ჯარი და რახიმ-ხანის ყაჩაღთა ბრბო თავრიზს დაეცა და ენჯუმენი გაანადგურა, ერთ უბანში მათ წინააღმდეგობა გაუწიეს. ეს სათარ-ხანია. სრულიად უსწავლელი და მანამდე უცნობი პირი შაჰის ვერაგობამ ააფოთა და მის დამორჩილებას სიკვდილი არჩია. მას რამოდენიმე დამხმარე აღმოუჩნდა და ერთ უბანში გამაგრდენ. მეორე უბნიდან ბაღი-რხანი წამოეშველა, ერთათ არსენალი აიღეს და თავრიზის ნახევარს დაეპატრონენ. ხალხის ახალი მოძრაობა დაიწყო. ძნელი მხოლოდ პირველი ნაბიჯია. პირველს მეორე მოსდევს, მეორეს მესამე. ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა ვითარდება. როგორც თეირანის კონტრ-რევოლიუცია პროვინციას მოედო, ისე თავრიზის რევოლიუციას განვითარება მოელის.

შაჰი გაცოფდა. ის გამარჯვებას დღესასწაულობდა და მტერი კი ცოცხალი აღმოჩნდა. ის თავრიზის დასამორჩილებლათ ახალ-ახალ ჯარს გზავნის, რეაქციონერ ხანებსა, უპირველესათ მაქოს ხანს მოიშველიებს, ახალ ყაჩაღებს მიმართავს, თავრიზელთა ქონება და სიცოცხლე თქვენთვის მიჩუქნიაო. მოკლეთ, შაჰი ძველ დესპუტიურ ხერხს ადგია და ხალხის დაშინებით გატეხას ლამობს. მოსტყუვდა. აღმოსავლეთის დესპოტს ვერ შეუგნია, რომ 2-3 წელში ხალხი გათვით ცნობიერდა და ამიტომ ძველი ზომები მიზანს ვერ აღწევს. თავრიზი მომხდურთ გმირულათ იგერიებს, შიგ რეაქციონერთა უკანასკნელ კუთხეს ანადგურებს და ქვეყანას გამარჯვებისაკენ მიუძღვის. რევოლიუციის ტალღები კვლავ მაღლა-მაღლა მიიწევს, თავრიზს სხვა ქალაქები უერთდებიან მათ თავრიზი მიეშველება და მალე თითქმის მთელი ადერბეიჯანი რევოლიუციონერთა ხელში გადადის. და აი, როცა აღმოჩნდა, რომ შაჰი არც ისე ძლიერია, როგორც 10 ივნისის შემდეგ ჩნდა, ადერბეიჯანს სხვა პროვინციებიც მიემხრო და რევოლიუცია შაჰის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყებათ გადაიქცა. ჩრდილო-აღმოსავლეთი სპარსეთი რეშტისა და მეშედის მეთაურობით, სამხრეთი-ბუშირის თაოსნობით, თვით ლურისტანი—ეს ბახტირთა სამფლობელო—შაჰს აუჯანყდენ და მის განადგურებას ელტვიან.

შაჰი თეირანს ბატონობს. სანამ სატახტო ქალაქში მისი ძალა-უფლება არ მოუს-

პიათ, რეაქცია მუდამ ცოცხალი იქნება. ამ ნაირათ, რევოლიუციის გამარჯვება თეირანის დამორჩილებას მოითხოვს. რევოლიუციონერებიც დაიძრენ და ყველა მხრიდან თეირანს ემუქრებიან.

აშკარაა, შაჰს საშინელი დამარცხება მოელის. აქ მას დახმარების ხელს კიდევ გარეშე ძალები უწვდიან. შაჰის დამარცხება მათი დამარცხებაცაა. გარეშე სახელმწიფოებიც სპარსეთში მიეშურებიან, რომ ამღვრეულ წყალში თევზი იჭირონ და ასე, მსხვილი ლუკმა პირთ იგდონ. თავრიზში და ბუშირში უცხოელთ შიმშილი და მათ სიცოცხლეს საფრთხე მოელისო აცხადებენ და თავრიზში რუსის ჯარი შედის, ბუშირში—ინგლისის მეზღვაურები. რომ თავისი მტაცებლური მისწრაფება ხალხს დაუმალონ, შაჰს, თან კონსტიტუციის აღდგენას ურჩევენ. შაჰისა და ამ გარეშე ძალთა ინტერესი ერთია: სპარსეთის ანარქია. ეს შაჰის დესპოტობას ახანგრძლივებს, გარეშე სახელმწიფოებს კი სპარსეთის დაყოფას უადვილებს. ბლოკის საერთო მიზანია კონსტიტუციის დაპირება და მით ხალხის დამშვიდება. შემდეგ მათი ინტერ. რამოდენიმეთ ნსხვავდება: შაჰისა და რუსეთის მიზანია კონსტიტუციის სამუდამოთ უარყოფა, ინგლისის კი კუდმოკვეცილი კონსტიტუციის დაკანონება. ჯერ „სამნი არიან, ერთათ არიან“ და საერთო ძალღონით სპარსეთის ერს კი უფსკრულისაკენ ერეკებიან.

შაჰმა 22 აპრილის მანიფესტი გამოსცა, კონსტიტუცია აღვადგინეო.

რა გზას ადგენ რევოლიუციონერები? ცხადია, კონსტიტუციის აღდგენა დიპლომატიური ხრიკია. შაჰი იმედოვნებს ამით რევოლიუციონერთა ბანაკში არევ-დარევა გამოიწვიოს და მით მათი დამარცხება გაიადვილოს.

აქ ნათლათ გამოჩნდა დიდი და ძლიერი რევოლიუციის სუსტი მხარეები. სპარსეთის რევოლიუცია, ეტვს გარეშეა, ლრმაა: მან საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული სოციალური და პოლიტიკური მონობა უნდა წალეკოს. ის ძლიერია: მას ხალხის ფართო მასსა ემხრობა, მარა სპარსეთი ძველი ქვეყანაა და ევროპიულ კულტურას მოკლებულია, აქ რკინის გზები ახლა შენდება, სკოლები ახლა არსდება, ვაჭრობა-მრეწველობა მხოლოდ ფეხს იდგამს. მოკლეთ, სპარსეთის კულტურული აღორძინება მხოლოთ ახლა სწარმოებს. ამიტომაც ხალხი პოლიტიკურ გამოცდილებას მოკლებულია. თან კაპიტალიზმის პირველ ხანას—ე. წ. კაპიტალის პირველ დაგროვის ხანას—რაც სპარსეთში ამ ჟამათ ბატონობს, ყოველთვის დასდევს ერთი სენი. აქ ყოველიფერში ჩარჩი, მევახშე ბატონობს. საზოგადოებაც ჩარჩული სენითაა გაჟღენთილი. კერძო კეთილ-დღეობა ყველაფერია, ფულის და მხოლოთ ფულის მოგება ყველას ლტოლვილებაა. ამნაირათ, ძველი პატრიარქალური ბეჭები დაიმსხვრა, ახალი ჯერ კიდევ არ აშენებულა, რომ სხვადასხვა კლასებში საერთო კლასიური ინტერესების შეგნება გამოიწვიოს. ამიტომაც ასეთ საზოგადოებაში ღალატი ჩვეულებრივი მოვლენაა. აი სად მარხია იმ უთვალავი ღალატის საფუძველი, რომელზედაც ვლ. მგ—ძე ჩვენს გაზეთში საფუძვლიანათ მოგვითხრობდა.

ეს კარგათ იცის თვით შაჰმაც, მის გარშემო ყველაფერი ღალატზეა აგებული. ემირ-ჯენდ-ბადათური და რეაქციის სხვა მეთაურები გარეშე სახელმწიფოთა მიერ მოსყიდულია და მათი იარაღია. შაჰიც ამ გზას ადგება. სიპეხდარს, რეშტ-ყაზვინის რევოლიუციონერთა მეთაურს გილანის გუბერნატორათ ნიშნავენ და ბევრ სხვას ასეთსავე ჯილდოს ჰპირდებიან. სეპეხდარიც, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, შაჰთან მორიგებას შეუდგა და რევოლიუციონერთ, უპირველესათ შეგნებულ ნაწილს, კავკასიელთ იარაღს ართმევს და ქვეყნიდან მიერეკება. სეპეხდარი რევოლიუციის დამარცხებას ხელს უწყობს.

მოკლეთ, რევოლიუციონერები დაიბნენ. ერთი ალთას მიიწევს მეორე ბალთას, ზოგი შერიგებას ქადაგებს, ზოგიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ბრძოლას მოითხოვს შაჰის ჩამოსაგდებათ და უცხოეთის ჯარის განსადევნათ. საით არის ხსნა? რევოლიუციონერთა შეკავშირება კონტრ-რევოლიუციას ხედა წილათ.

ნ. რ.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი.

რევოლიციონური მოძრაობა ისპანიაში

სერბერი. 21 ივლისი. ბარსელონის ქუჩაზე ბრძოლა გრძელდება. ხმები დადის, რომ საიხეში გაუსამართლებლათ 40 მეამბოხე დახვრიტეს, ამათში სოციალისტების ბელადი იგლეზიასი.

ხან-სებასტიანი. ბარსელონასა, სერბერსა, სარაგოსსასა და ვალენსიას შუა რკინის გზაზე მოძრაობა დაიწყება ხვალ. ბარსოლონას გარშემო ადგილობრივი მოძრაობა უკვე აღადგინეს. ცნობა მრავალ სასჯელზე სიმართლეს მოკლებულია, განაჩენს განასაჩივრებენ.

სპარსეთი

თეირანი. ჩამოახრჩვეს არტილერიის შტაბის უფროსი იზმაილ ხანი. თვალები დათხარეს ნაგიბეს-სადატს თეირანის სეიდების ბელადის შვილს. დაუპატიმრეს ფინანსთა მინისტრი ემირი ნიზამულ-მულკი, როგორც 1907 წლის დეკემბრის ამბებში მონაწილეობის მიმღები.

რ უ ს ე თ ი.

ხოლერა.

მაირენგოფი. ხოლერით რიგაში ავათ გახდა 5 კაცი, გარდაიცვალა 3. მაზრაში ავათ გახდა ერთი.

ტვერი. 17-დან 20 ივლისამდე ხოლერის ბარაკში 2 ავათმყოფი მიიყვანეს.

იაროსლავლი. რიბინსკსა და მის მაზრაში ავათ გახდა 6 კაცი, გარდაიცვალა 5. იაროსლავის მაზრაში ავათ გახდა 1, გარდაიცვალა 1.

პეტერბურგი. დღე და ღამის განმავლობაში სატახტო ქალაქში ხოლერით ავათ გახდა 38 კაცი, ამათში 21 გარდაიცვალა; სულ 540 კაცია ავათ.

პეტერბურგი ნიჟეგოროდის გუბერნიაც საფრთხილოთ იცნეს ხოლერის მხრივ.

ვოლოგდა. ეპიდემიის დაწყებიდან 18 ივლისამდე ხოლერით ავათ გახდა 292 კაცი, ამათში გარდაიცვალა 149.

კრონშტადტი. 18 ივლისს ავათ გახდა 1, 19-ს არავინ გამხდარა ავათ. სულ 8 კაცია ავათ.

არხანგელსკი. ქალაქში ხოლერით ავათ გახდა 9, გარდაიცვალა 4.

საზღვარ-გარეთ.

სტოკჰოლმი. სამუშაოს გამცემთა კავშირმა 80,000 მუშა დაითხოვა. ამათში 30,000 კაცი მუშაობდა რკინის წარმოებაში.

ალხუსემასი. ზანგებმა ციხეს ტყვიები დაუშინეს.

შერბურგი. 20 ივლისს მათი უდიდებულესობანი მემკვიდრესა და ქალიშვილებთან ერთათ დილის 6 საათზე გემ „შტანდარტით“ ინგლისისაკენ გაემართენ.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი

კონსტიტუციის წლის თავი კონსტანტინოპოლში. თვალწარმტაც სურათს წარმოადგენდა ეს სადღესასწაულო დღე. დიად დღეს ერთსულოვანათ შეეგება ხალხი განურჩევლათ სქესისა და ეროვნებისა. მათს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. ქალაქი გაჭედილი იყო ხალხით, უმთავრესათ ჩამოსულებით, რომლებიც მიეშურებოდენ ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. ხალხში სჭარბობდა ოსმალოები. დღესასწაულში მონაწილეობა ქალებმაც მიიღეს. ამ დღის პატივის საცემლათ მათ ჩადრიც აიხადეს. სრულს მხიარულებას ეძლევოდა ბავშვები, რომლებიც ცდილობდენ წარმოედგინათ „ახალგაზრდა ოსმალები.“ ისინი დასეირნობდენ ქუჩებში ხის თოფით და ხანჯლით შეიარაღებულები. ჯარის დათვალიერების შემდეგ, სულთანის თანდასწრებით, მებრძოლთა სახსოვარი ძეგლი ამართეს. საღამოს ილდიზში ბანკეტი გამართა „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა. ამ ბანკეტს დემონსტრატიულათ არ დაესწრენ მოწვეული მსოფლიო და სომხის პატრიარქები, რამაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

საბერძნეთის მოთხოვნილება. საბერძნეთის მთავრობამ მოსთხოვა პასუხი ოსმალეთის მთავრობას, იმის გამო, რომ ოსმალეთის ჯარი თავს იყრის საბერძნეთის საზღვრებზე.

პალატაში. ოსმალეთის პალატაში წაიკითხეს მრავალი დეპეშები კრიტოსის ანექსიის წინააღმდეგ. ორატორები მხურვალე სიტყვებით ამტკიცებდენ, რომ ყველა ოტომანი მზათაა, რომ დაღვაროს სისხლი ოსმალეთის უფლებების დარღვევისათვის.

რუსეთი

რუსეთის ცხოვრების საშინელებანი. ვილნოში, გელვანსკის სოფელში, მინდორში რამდენიმე უწლოვანი ბავშვი, მათ შორის 7 წლის პაპიუნი თამაშობდენ. თამაშობის დროს ერთი მეორეს წაეკიდენ. პაპიუნი სახლში გაიქცა, გამოიტანა თოფი და ესროლა მოთამაშე ბავშვებს და ერთი იქვე მოჰკლა. შემდეგ დასჭრა მეორე ბავშვი და მისი და, რომელიც გზაში გარდაიცვალა. კურსკში ვინმე ლაზარევმა, რომელსაც თავის ამხანაგებთან ერთად მინდორში ეძინა, გაიპარა სახლში და ცულით დაჩეხა მამა, დედა, ცოლი და ისევ დაბრუნდა მინდორში. სარატოვში ვიღაც უცნობმა შეიტყუა ხრამში 8 წლის ქალი, ძალით ნამუსი ახადა, სცემა და მიიმალა. გაუპატიურებული სიკვდილის პირათაა. მაგილიოვის გუბერნიაში, ექვსმა გლეხმა გზაში დაიჭირეს გლეხის ქალი და ნამუსი ახადეს. ვიატკაში შაკიროვი მთელი რიგი ღამეების განმავლობაში თურმე ძალათ აუპატიურებდა 12 მოსამსახურე ქალს. გაუპატიურებული ოთახში ყოლია დამწყვდეული და თურმე გარეთ არ უშვებდა. როგორც იქნა რამდენიმე დღის შემდეგ ძალაზე დაუძლურებულმა ქალმა გაქცევით თავს უშველა.

ახალი ციხეები. ხატუსაღლოთ მთავარგამგეობას განძრახვა აქვს აგოს სამი ახალი სატუსაღო ბელასტოკში, ბლაგოვეშჩენსკში და სიზრანში: ადიდებენ აგრეთვე შლისელბურგის სატუსაღოს. ეს სამუშაო მოითხოვს 1 ნახევარ მილიონ ხარჯს. ხალხი შიმშილით იხოცება და აქ კი მილიონები ციხეებზე იხარჯება!

თანამედროვე სტატისტიკა იანვარში ჩამოხრჩობა გადაუწყვეტიათ—121 კაცისთვის, თებერვალში—132, მარტში—143, აპრილში—69, მაისში—151, ივნისში—123. ადმინისტრაციული წესით დაუჯარიმებიათ 90 რედაქტორი, საერთოთ 47,675 მანეთით.

გადასახლებულების მდგომარეობა. ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლებულები მეტად დიდ გაჭირვებაში არიან. ქ. უსტიუგაში ადმინისტრაციამ განკარგულება გააკრა იმის შესახებ თუ რა ფორმის ტანისამოსი უნდა ატარონ გადასახლებულებმა. ტანისამოსი უნდა შეიკერონ ერთგვარი მატერიისაგან და ზედ განსაზღვრული ფოლაქები უნდა ეკეროს. თავის სურვილისამებრ ტანისამოსის შეკერვა სასტიკათ აკრძალულია. თეატრებში სიარული აკრძალული აქვთ. კოოპერაციებში მონაწილეობის მიღებაც აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე ერთ ოთახში 3—4 მეტის ერთად ცხოვრება, აკრძალულია აგრეთვე თეთრი ჯოხებით სიარული.

რუსული სკოლის ბოიკოტი. მთელი პოლონეთის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადონ რუსულ სკოლებს პოლონეთის საზღვრებში.

არჩევნები უფაში საერობო არჩევნებში აირჩიეს მხოლოთ ხუთი მემარჯვენე. დანარჩენი პროგრესისტებია, ზლატაუსტოვის მაზრაში მემარჯვენეები სასტიკათ დამარცხდენ. ვიატკაში დამატებითი არჩევნებში გაიმარჯვეს პროგრესისტებმა.

საზღვარ-გარეთ

რევოლიუცია ისპანიაში. აჯანყების ალი მთელ ისპანიას მოედო. მიუხედავათ საალყო წესების გამოცხადებისა, რევოლიუციონური ქარ-ტეხილი თანთათან ძლიერდება. სახელმწიფო დაწესებულებები და მონასტრების შენობებს ცეცხლს უკიდებენ. ქალაქებს შორის ყოველივე დამოკიდებულება შეწყვეტილია. ქუჩები ბარიკადებით არის მოფენილი. მცხოვრებლებს და ჯარს შორის სისხლის მღვრელი შეტაკება ხდება. ორივე მხრით ბევრია დაჭრილი და მოკლული. ბარცელონაში რევოლიუციონერებს მოუკლეს 15, დაუჭრეს 45. ჯარს—3 ოფიცერი და 27 სალდათი. ცხენოსან ჯარის იერი-

---

მიჰქრის მერანი...

—

ხელი გავუსვი ფანდურსა,
ავაწკრიალე სიმები
ქარს გავატანე ფიქრები,
სიცოცხლის გამამძიმები.
ვერას მიშველის ტირილი,
ამონამული თვალები,
ოცნების მერანს გავიგდებ,
მის სიყრმეს ვენაცვალები!
„გასწი, მერანო“!.. ფიქრნი კი
ყვავ-ყორნათ გადაქცეულან,
კლანჭ-ნისკარტ მოღერებულნი
ჩვენზედა გამოსეულან
და მოგვჩხავიან უკანით:
„ვერ წახვალთ, დაგვიცადეთო!
ჩვენი ხართ, დაბრკოლებანი
წინ გექსოვებათ ბადეთო:
მთათა უგულო ჯურღმულნი,
იმათი ღრანტე-კლდეები,
ეკლებით გადაქსოვილი
შავი, უღრანი ტყეები
წინ დაგიხვდებათ. დაგვნებდით!
ველარ წაგვიხვალთ, ვერაო!
მაინც ხომ უნდა შეიქნათ
ულუფა, ჩვენი წერაო“!..
— გასწი, მერანო! თორემ
ფიქრნი, ყვავ-ყორნათ ქცეულნი,
უკანით რომ მოგვჩხავიან,
დაგვიწევიან, წყეულნი!..
და მიჰქრის... მიჰქრის მერანი!
გულზე ალმური ედება.
ვხედავ, რომ „ალარ ჩაივლის
უმიზნოთ სულის კვეთება“!
გზისა სიძნელეს არად სთვლის,
მიჰქრის, მიფრინავს მერანი...
გაგინიავდათ ყორნებო,
განზრახვა, გულის ძგერანი!..

ნ. ზომლეთელი.

სატუსაღოში

III

საერთო კამერაში.

(გაგრძელება).

ამ არეულობის დროს „პარაშის“ კამერიდან გატანა ყველას დაავიწყდა. გაახსენდათ ეს მხოლოდ მაშინ, როცა სიცხესთან ერთათ იმატა „პარაშიდან“ ამომავალმა შმორის სუნმა.

ორი ჯანმრთელი ტუსაღი ეკიდება „პარაშას“ ყურებში, მაგრამ ისე აგდებულათ მოკიდეს მას ხელი, რომ პარაშიდან იჩქეფა სიბინძურემ და საშინელი სიმყრალით გაჟღენთა ისედაც მძიმე, მყრალი ჰაერი.

— О благорастворении воздуховъ у господа просимъ! იწყებს ვიღაცა კუთხეში. გაისმის სიცილ-ხარხარი.

— ჩუმათ! ყვირის სპილენძის ბაბუა! — რა გიხარიათ? ჩქარა გასწმინდეთ იატაკი....

იატაკი გასწმინდეს... უწიგნოთ, უთუთუნოთ, ულოგინოთ, უსკამოთ, ჩვენ არ ვიცით რა ვქნათ. სიცხე თანდათან მატულობს. ჰაერი სავსეა ბუზებით, ჯგუფ-ჯგუფათ მოდიან ისინი ჩვენზე იერიშით, გულადი ბზუილით გვაჯდებიან სახეზე, ან ცხვირის ნესტოებს ქვეშ და საშინლათ გვაწუხებენ. ხანდახან კი ისინი, ერთი მეორეზე გადასკვნილი გვაჯდებიან სადაც წაახელებენ და სიყვარულს ეძლევიან, რითაც ტუსაღები სიცილის გუნებაზე მოდიან და რამდენიმე უწმაწურ ხუმრობას უშვებენ.

იურკა შეუდგა თავის საყვარელ საქმეს და ერთობ გაერთო. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ის იჭერს ბუზს, მიყავს ობობას ქსელთან, რომელიც კუთხეშია გაქსოვილი და დაჭერილ ბუზს ახვევს ქსელში. იმ წამსვე დადარაჯებული ობობა ეცემა თავის მსხვერპლს, ბუზი კრთის, ფართხალობს, იბრძვის, არ უნდა სიკვდილი.

— უყურეთ, უყურეთ! ყვირის იურკა და მის თვალებში ინთება საშიში ცეცხლი. ის ერთიან წითლდება, სახეზე ძარღვები უსივდება. საშიში შესახედავია ამ დროს ეს ჩვეულებრივ წყნარი და მშვიდი ადამიანი. ის დასჯილია კაცის მოკვლისთვის. ამ საქმით იქცევს ის თავს დღითი-დღე.

— შეხედეთ! შეხედეთ! კივის ის ცივი ხმით და ეს კივილი მაგონებს მეძავი ქალის კივილს, როცა მას ლაჯებში დაჰკრავს ხელს რომელიმე შეექეფიანებული ხულიგანი.

— А ну тебя къ чорту! იძახის ვიღაცა ამ კივილზე და იურკას მხარეზე აფურთხებს.

— Ну, брось эта ли... ამბობს მეორე.

ტუსაღები გროვდებიან მეორე კუთხეში და ჯდებიან იატაკზე.

მოწყენილობაა. სიცხე კი უფრო და უფრო მატულობს. მზე უკვე მოადგა ფანჯარას და თავისი სხივები როგორც მათრახი ისე გადაგვკრა.

— ეჰ, თუთუნი მაინც მოგვცა.

— ნუ გამახსენებ, შენი ოჯახი დაიქცა.

— ორეშკო მაინც იყოს აქ, გაგვაცინებს, რაიმეს გამოიგონებს.

— წავიკითხოთ რამე... წამოიძახა ვიღაცამ.

— ეხ, ჩერჩეტი... წიგნი სად არის... ვერ დაინახე, რომ წაიღეს!..

ამ დროს დგება ფეხზე მირონოვი და იძახის:

— უმაწვილებო! სმენა იყოს და გაგონება:

— ტს! ჩუმათ!

მირონოვმა ამოახველა და დაიწყო:

Любовь ихъ была глубока и сильна.
Мошенникъ былъ онъ, потаскушка она...

— აი-გიდი, ბიჭო, გენაცვალე კისერში! წამოიძახა მელნიკოვმა, წამოვარდა ზედ, შედგა ცალ-ფეხზე და მეორე ფეხი რამდენიმეჯერ ჰაერში გააქნია, შემდეგ გადახტა ისევ ცალ ფეხზე, დაიკრა ხელი უკან რბილ ალაგას და ისევ გადახტა:

— აი-გიდი, ბიჭო, კისერში გენაცვალე! დაიძახა ისევ მან.

— რა ამბავია! ეს რა ამბავია! გაირბინა სპილენძის ბაბუამ,—ქორწილია? რას ყვირით?

— პაპაშა, შენ ერთი ყური დაუგდე და! ერთი დაუგდე ყური!—მიირბინა კარებთან და მიაძახა მელნიკოვმა.

— Ну, Ну! გაჩუმდით? ხმაურობა არ იყოს.

— განაგრძე... განაგრძე!.. გაისმა ძახილი.

— პაპაშამაც გაიგონოს, განაგრძე... იძახის კარებიდან მელნიკოვი.

...Когда молодцу сплутовать удавалось,
Кидалась она на кровать и смѣялась.
И шумно, и буйно, летѣли ихъ дни;
По темнымъ ночамъ цѣловались они.

— ოი, გენაცვალე, ყოგოვ, ჩემო პაულინა... მე და პაულინას ამბავია გალექსილი... ჰო, ქვევით, ქვევით!

...Въ тюрьму угодилъ онъ. Она не прощалась;
Глядѣла, какъ взяли дружка, и смѣялась.

— ახ, შენ როსკიპო, მამაძაღლო... Сволочъ!—წაილაპარაკა ეხლა უკვე დაბალი ხმით მელნიკოვმა.

— რა? შენმა პაულინამაც ასე ხო არ გიყო?—იკითხა ალექსეევმა. გაისმა სიცილი.

...Послалъ онъ сказать ей: „Зашла бы ко мнѣ!
Съ ума сойдешь ты наяву и во снѣ;
Душа у меня по тебѣ стосковалась!“
Качала она головой и смѣялась.

— აი შენი პაულინა! Вотъ стерва! სცადა ისევ რომ გაეცინებია ტუსაღები ალექსეევმა, მაგრამ ეხლა არავის გაეცინა. ყველანი დაფიქრებული ისხდენ. იდგა და ყურს უგდებდა აგრეთვე მელექსეს „სპილენძის ბაბუაც“.

...Чѣмъ свѣтъ его вѣшать на площадь вели;
А въ семь его сняли, въ могилу снесли...
А въ восемъ она, какъ ни въ чемъ не бывало,
Вино попивая, съ другимъ хохотала.

— იგი შენ!—დაიძახა უცებ სპილენძის ბაბუამ და გაიცინა ისეთი სიცილით, რომ მე გამაჟრჟოლა ტანში, მელნიკოვმა კი ერთი ბოროტათ შეხედა ზოსიმოვს, შემდეგ მოტრიალდა ჩვენკენ და თქვა:

— ქალი, მისი მომგონის, საფლავის... ქალი უნდა დაახრჩო, სადაც დაიხელებ... დაახრჩო უნდა ეს გველის წიწილები...

— ჭკვიანი ჩვენ შორის, ძმავ, მართალი თუ გინდა, ალი არის...—ალის გაუმარჯოს! დაიძახა ვიღაცამ.

ამ სიტყვაზე უცებ ერთი წუთის გამეფებული მოწყენა გომერიული ხარხარით შეიცვალა—ყველამ ალისკენ მიიბრუნა პირი. ეს ახმახი, უშნო, მაღალი, წელში ცოტათი მოხრილი, შავ-შავი ყირიმელი თათარი, ერთი იმ ტიპთაგანია, რომელზედაც ამბობენ—ტყეში მარტოკას ღმერთმა ნუ შეგახვედროსო. არავითარი ადამიანური იმაში არ არსებობს, ღონეც არა ადამიანური აქვს მას, ამბობენ ათი კაცი ვერ დაუმაგრდებაო. მაგრამ ამასთან ზედმიწევნით მხდალია, საკმაოა ერთი მაგრათ შეუძახო, რომ მოიხრება წელში და მიიმალება კუთხეში. როცა ლაპარაკობს, პირიდან მოსდის ქაფი... ზის ის ციხეში იმიტომ, რომ ველ-

შებს რევოლიუციონერები ბომბებით იგერიებენ. რკინის გზით მიმოსვლა საფრანგეთთან შეწყვეტილია. ბევრ ადგილებში ხიდეები და რკინის გზა ააფეთქეს. ბარცელონაში რკინის გზა სულ გაფუჭებულია, რის კეთებას სალდათები შეუდგენ. რამდენიმეჯერ შეეცადენ სამხედრო მატარებლის გადაგდებას. რეპრესიები მადრიდში უმაღლეს წერტილამდე ავიდა. აქ მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. მაღაზიები, ქარხნები, ფაბრიკები, ბანკები — დაკეტილია. დახურეს შვიდი გაზეთი. ზომიერი გაზეთები აღშფოთებული არიან და აცხადებენ, რომ მთავრობა ჭკუაზე შესცდა და ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებსო. ყველა დაჟინებით მოითხოვს პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევას და ომის შეწყვეტას. პარიზის გაზეთები ირწმუნებიან, რომ მოძრაობას ერთავათ ანტიდინასტიური ხასიათი აქვსო. ბისკაისკის სოციალისტურმა კომიტეტმა ბისკაიში საერთო გაფიცვა გამოაცხადა. არც ჯარშია მშვიდობიანობა. ბევრ გარნიზონში ძლიერი მღელვარებაა. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, სადაც კაროლი თავმჯდომარეობდა, გადასწყვიტეს გააუქმონ კონსტიტუციონური გარანტიები მთელი ისპანიისთვის. ამან ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია. პარიზის გაზეთების სიტყვით, მთელ ისპანიაში გაცხარებული აგიტაციაა მთავრობის წინააღმდეგ. მაროკოში დამარცხება მიყრუებულ სოფლამდისაც ახწევს და მღელვარებას იწვევს. მთავრობა კრიტიკულ მდგომარეობაშია. მას არ ყავს იმდენი ჯარი, რომ მაროკოშიც გაიმარჯვოს და რევოლიუციაც ჩააქროს. გუშინ კოროლის სასახლის წინ მოხდა დიდი მანიფესტაცია სალდათების და მოქალაქეების. გაისმოდა ხმები: „ძირს კაროლი! ძირს ომი“! ბარცელონაში, ლონდონის გაზეთების ცნობებით, კათოლიკების ეკლესიებს, სკოლებს და მონასტრებს ანადგურებენ. შეაჩერეს 40 მატარებელი. შეძლებული მოქალაქენი ქალაქიდან გარბიან. ვაჭრობა-მრეწველობა შეწყდა. ბარცელონაში შეტაკების დროს ჯარმა არტილერია იხმარა, მაგრამ რევოლიუციონერების იერიშს ვეღარ გაუძლო და უკან დაიხია. ჯარის ნაწილმა მიუხედავათ აფიცრების მუქარისა უარი განაცხადა ხალხისთვის თოფის სროლაზე.

მოელიან საერთო აჯანყებას.

რა ხდება მაროკოში. ბერლინის გაზეთების სიტყვით ისპანელები მაროკოში საშინელ დამარცხებას განიცდიან. ბევრია მოკლული, განსაკუთრებით აფიცრები. ჯარის ნაწილი უარს ამბობს ბრძოლაში გასვლაზე და მოითხოვენ, რომ აფიცრები ბრძოლაში წინ წავიდენ. ერთ ბრძოლაში ქვეითა ჯარის მოწინავე რაზმმა იარაღი დაჰყარა და გაიქცა. 16 ივლ. ბრძოლაში ისპანელებს მოუკლეს ბრძოლაში მონაწილე სალდათების ერთი მეხუთედი. მთავრობამ აუკრძალა გაზეთებს მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობის გამოცხადება.

შეკითხვა გარტინგზე. ინგლისის სათემო პალატაში დებ. დილონმა შემდეგი შეკითხვა შეიტანა: „ხმებია, რომ გარტინგი ამ ჟამათ ინგლისში იმყოფება. დარწმუნებულია თუ არა მინისტრი, რომ ეს პროვოკატორი ხელ-ახლა არ ამზადებს რომელიმე ტეროროისტულ აქტს?“. მინისტრმა უპასუხა, რომ მას არ აქვს ცნობები გარტინგის ლონდონში ყოფნის შესახებ, მარა მას სრული იმედი აქვს პოლიციის გამჭრიახობის და ერთგულობის.

გაფიცვა სტოკჰოლმში. ფინლიანდიის და გერმანიის მუშათა ორგანიზაციებმა მატერიალური დახმარება გაუწიეს სტოკლჰოლმში გაფიცულ მუშებს. მოელიან, რომ გაფიცულებს რკინის გზის მუშებიც მიემხრობიან. მთავრობა განსაკუთრებულ თადარიგშია, თუ ვინიცობაა არეულობა დაიწყო.

სოც.-დემოკრ. პარტიის ორგანიზაციის წესდების ცვლილება. გერმანიის სოც.-დემოკრ. პარტიის ცენტრ. ორგანო ბეჭდავს პარტიის სტატუტების შეცვლის შესახებ. ეს ახალი პროექტი უნდა განიხილოს ახლო მომავალში პარტიულმა სიეზდმა. ყველაზე უფრო სადაოა კითხვა დეპუტატების უფლების შესახებ. უკვე არსებული სტატუტის თანახმათ დეპუტატს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა პარტიულ სიეზდებში და პარტიის შინაური პოლიტიკის შესახებ კენჭის ყრის დროს აქვს მხოლოდ სათათბირო ხმა. რეფორმისტები მოითხოვენ, რომ დეპუტატების უფლება პარტიულ საქმეებში გაფართოებულ იქნას. ორტოდოქსები კი, რომელთაც ცენტრალური ორგანოც მხარს უჭერს, მოითხოვენ, რომ შეკვეცილი იქნას დეპუტატის უფლებები რეზოლიუციების კენჭის ყრის დროს. დღემდის პარლამენტის ფრაქციას უფლება ქონდა, თუ საჭიროთ დაინახავდა, ხმის უმეტესობით მოეწვია პარტიული სიეზდი. ახალი პროექტი კი წინადადებას იძლევა წაერთვას დეპუტატს ასეთი უფლება.

უცხოეთი

გერმანიის კოოპერატივების მეექვსე სიეზდი.

ამ ახლა ხანში ქ. მაინცში მახდა გერმანიის კოოპერატიულ სახზგადოებათა მეექვსე სიეზდი. სიეზდს დასწრო 500 კოოპერატივის დელეგატები. კოოპერატივების უმეტესობა გერმანიაში შეერთებულია და განგებს ეკრეთ წოდებულ „ცენტრალური კავშირი“.

სიეზდმა განიხილა სხვათა შორის „ცენ. კავშირის“ მიერ წარდგენილი 1908 წლის ანგარიში. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ „ცენ. კავშირის“ შემადგენელ კოოპერატივების წევრთა რიცხვი თანდათან იზრდება. 1907 წელს კავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა 885,000, ხოლო 1908 წელს კი 975,000-მდის ასულა; ე. ი. ერთი წლის განმავლობაში 90,000 წევრი შემატებია. წევრთა რაცხვის გაძრავდებასთან ერთად თანდასჩინოთ უმატია კავშირის წლიურ „ობოროტსაც“. 1907 წლის „ობოროტი“ უდრიდა —107 მილიონ მანეთს, 4808 წელს კი—124 მილიონ მანეთს აღემატებოდა. თუ ამას მიუმატებთ კავშირის მიერ კერძო კოოპერატივებისათვის ნაყიდი საქონლის თანასაც, მაშინ მთელი „ობოროტი“ უდრის—157 მილ. მანეთს.
